საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ტექნიკური დავალება
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის პოზიციაზე

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG) სამოქალაქო ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წლიდან საქმიანობს მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენი მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია ხელს უწყობსქვეყნის მდგრად განვითარებას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.
ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს: https://www.csrdg.ge/

ინფორმაცია პროექტის შესახებ

2021 წლიდან CSRDG რამდენიმე სხვა ორგანიზაციასთან ერთობლივად ახორციელებს პროექტს **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“*, რომელიც მიმდინარეობს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავს, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით. პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი.

პროექტს სამი კონკრეტული ამოცანა აქვს:

1. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობა და არასახელმწიფო დაფინანსების გამრავალფეროვნება, ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის პოპულარიზაცია.

2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის კავშირების გამყარება, მათ შორის, სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.

3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით ზედამხედველობისა და ადვოკატირების თვალსაზრისით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ემყარება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" (CSSIGE 2017-2020) განხორციელების პროცესში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

პროექტის ფარგლებში CSRDG რამდენიმე ძირითადი მიმართულებით საქმიანობს:

- ✓ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა (CSR) და სექტორთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ბიზნესის სექტორში CSR-ის კულტურისა და პასუხისმგებლიანი ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობას, მთავრობის, მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლებას CSR-თან დაკავშირებულ საკითხებზე, სექტორთაშორისი თანამშრომლობის წახალისებას და CSR-ის ხელშემწყობი პოლიტიკური თუ ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებას;
- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციაში. კერძოდ, ასოცირების შეთანხმების შესრულების ხელშეწყობაში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების სამოქალაქო მონიტორინგი და ადვოკატირება (განსაკუთრებით ისეთი საკითხებზე, როგორიცაა: გარემოს დაცვა, ენერგო-ეფექტურობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, სურსათის უვნებლობა და სხვა.) და ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება ტრენინგებით, საგანმანათლებლო ვიდეო-პრეზენტაციების, თემატური ანიმაციების შექმნით, საგრანტო კონკურსებით და პროცესში მენტორინგისა და კონსულტაციების შეთავაზება/თანხლებით;
- ✓ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების, ფილანტროპიისა და გაცემის კულტურის ხელშეწყობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლების გამრავალფეროვნებისა და მათი მდგრადობისათვის მექანიზმის შექმნის მიზნით, კერძოდ, ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების და პრაქტიკის დანერგვა/პოპულარიზაცია (სათემო ფონდი, პროექტების აუქციონები, ქრაუდფანდინგის მეთოდები და სხვა).
- ✓ სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების ინფორმირების, საგანმანათლებლო რესურსის და მათ შორის გამოცდილების გაზიარების ერთიანი პლატფორმების განვითარება (როგორიცაა თემის განვითარების რესურს ცენტრი, სათემო ლიდერთა ფორუმი); სათემო აქტივიზმისა და სათემო ინიციტივების ხელშეწყობა, კერძოდ ისეთი სათემო პროექტების/ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი, სათემო ორგანიზაციებისა და აქტივისტთა ჯგუფების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების განვითარებას როგორც საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების, ისე ადგილებზე არსებული შესაძლებლობების/რესურსების ეფექტურად გამოყენების კუთხით.

მეტი ინფორმაცია მიმართულებების შესახებ შეგიძლით ასევე იხილოთ:
www.cdrc.ge; www.meliora.ge; www.asocireba.ge; www.csrgeorgia.com; www.momxmarebeli.ge;

csrblog.ge; probonogeorgia.ge

ტექნიკური დავალების მიზანი

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის პოზიციის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ფართოდ გაშუქება სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული, მორგებული და ხარისხიანი კომუნიკაციის გზით.

სამუშაოს აღწერილობა, კონკრეტული მოვალეობები და პასუხისმგებლობები

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის უშუალო პასუხისმგებლობაა პროექტის მენეჯერის ხელმძღვანელობით, გუნდის სხვა წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- პროექტის ცალკეული კომპონენტების მიმართულებით საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება სწორად განსაზღვრული მიზნებით, ბიუჯეტითა და ტაქტიკით; აღნიშნული გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა; კერძოდ, პროექტის ფარგლებში ცალკეული ღონისძიებების: კონფერენციების, ფორუმების, დაჯილდოების ცერემონიების, კამპანიების ორგანიზება;
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, ბიზნეს სექტორთან და საზოგადოების სხვა ჯგუფებთან) კომუნიკაცია პროექტის ფარგლებში განხორციელებული, დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობების პოპულარიზაციის მიზნით;
- პროექტის საქმიანობების ფართო გაშუქების უზრუნველყოფა დონორების მოთხოვნების დაცვით;
- მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება. სამაუწყებლო, ბეჭდურ და ონლაინ მედიაში პროექტის აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება; პროექტით დაგეგმილ ღონისძიებებში მედიის ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა მარკეტინგული მასალებისათვის კონტენტისა და დიზაინის შემუშავება (დიზაინერთან ერთად მისი ვიზუალური მხარის მომზადება), მათ შორის ვებ-გვერდებისთვის, ვიდეოებისთვის, პუბლიკაციებისთვის, ნიუსლეთერებისა და/თუ პრეს-რელიზებისათვის;
- საინფორმაციო / საკომუნიკაციო მასალების განთავსება ორგანიზაციის/პროექტის საკომუნიკაციო არხებზე (ვებ-გვერდი და სოციალური მედია);
- სოციალური მედია გვერდების, ვებ-გვერდების მენეჯმენტი;
- საკომუნიკაციო მასალების, აგრეთვე ვიდეო / ფოტო მასალის შეგროვება და სისტემატიზაცია;
- პროექტის გრანტიორი ორგანიზაციების საკომუნიკაციო მხარდაჭერა;
- პროექტისათვის პარტნიორობისა და სპონსორობის შესაძლებლობების მოძიება;
- განხორციელებული საქმიანობების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება;
- პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში ჩართულობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პერიოდული მივლინებები საქართველოს რეგიონებში.

ძირითადი მოთხოვნები

<u>განათლება</u>: მაგისტრის წოდება საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის, ჟურნალისტიკის ან მომიჯნავე მიმართულებით.

<u>ცოდნა-გამოცდილება და უნარები</u>:

- პროფესიით მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება; არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილება და საზოგადოებრივი სექტორის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;
- ბიზნეს კომპანიებთან თანამშრომლობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- სასურველია გრაფიკული პროგრამების ცოდნა;
- საორგანიზაციო საქმიანობის, შეხვედრებისა და მასშტაბური ღონისძიებების მოწყობის გამოცდილება;
- გამართული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- გუნდში მუშაობის გამოცდილება;
- მრავალმხრივი ამოცანების გადაჭრის უნარი;
- გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- დროის მართვის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

ტექნიკური დავალების ხანგრძლივობა და ანაზღაურება

საწყის ეტაპზე, გამოსაცდელ ვადად განისაზღვრება 3 თვე, პროექტის დასრულებამდე (31 იანვარი, 2025 წელი) თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივით.

ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალურად, კანდიდატის ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით,

ჩვენ გთავაზობთ

- კეთილგანწყობილ და სტაბილურ სამუშაო გარემოს;
- კომუნიკაციების სფეროში მუშაობის ახალ გამოწვევებსა და საინტერესო გამოცდილებას;
- ორგანიზაციულ კულტურას, რომელიც ეფუძნება გუნდურობასა და ურთიერთპატივისცემას.

წარსადგენი დოკუმენტები:

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ:

ა) **რეზიუმე** (CV) ინგლისურ ენაზე თანდართული ფორმატის მიხედვით;

რეზიუმეში მიუთითეთ რეკომენდატორები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია, ვისაც შეუძლია შეაფასოს თქვენი აკადემიური ცოდნა ან/და სამუშაო უნარ-ჩვევები;

ბ) **სამოტივაციო წერილი;**

გ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი **სერტიფიკატი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა: **21 აგვისტო, 2023 წ.**

საკონტაქტო პირი: მაკა ასამბაძე maka.asambadze@csrdg.ge

საბუთები გამოაგზავნეთ მითითებულ მეილზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შერჩევის შემდეგი ეტაპისთვის **განიხილება მხოლოდ სრულყოფილად წარმოდგენილი განაცხადები**.

ორგანიზაცია დაუკავშირდება მხოლოდ გასაუბრების ეტაპისთვის შერჩეულ კანდიდატებს განაცხადების მიღების ბოლო ვადიდან 10 დღის მანძილზე.